

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება;

ბ) კანონპროექტის მიზანი

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცება;

გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით განისაზღვრება 2015 წლის განმავლობაში მისაღები შემოსავლებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები. ისევე, როგორც 2013-2014 წლების ბიუჯეტები, 2015 წელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „**ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის**“ შესრულებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ბიუჯეტის პროექტში შენარჩუნებულია სოციალურ და ეკონომიკის წამახალისებელ პროგრამებზე ორიენტაცია, რაც აისახება შესაბამისი სამინისტროების ასიგნებებში.

სტრუქტურულად წარმოდგენილი ბიუჯეტი ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება 2013 წლის ბიუჯეტისაგან, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები, რომელთა ძირითადი მიზანი არის საბიუჯეტო პროცესში აღრიცხვიანობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესება, კერძოდ აღნიშნული კანონპროექტების ძირითადი მიზანია საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლების მოქცევა ერთიან საბიუჯეტო პროცესში და სახელმწიფო ხაზინის სისტემაში. სახელმწიფო ხაზინის სისტემაში მოექცევა ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები და ავტონომიური რესპუბლიკებიც, რაც გააუმჯობესებს მათი ბიუჯეტების აღრიცხვიანობას და გაზრდის საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობას.

ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაზრდას ასევე ხელს შეუწყობს ის გარემოება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაწილი, ბიუჯეტიდან მიმდინარე ხარჯებისთვის გამოყოფილ თანხას ხარჯავდა „სუბსიდიები“-ს მუხლით და არ იყო დეტალურად გაშიფრული თუ რამდენი იხარჯებოდა მათ შრომის ანაზღაურებაზე და სხვა მიმდინარე ხარჯებზე, რის საშუალებასაც იძლეოდა მოქმედი კანონმდებლობა. არსებული პრაქტიკისგან კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში ყველა სსიპ-ის დაფინანსება წარმოდგენილი იქნება დეტალური მუხლების მიხედვით. ამ ეტაპზე, დეტალურად წარმოდგენილია კულტურის სამინისტროს სსიპ-ები, რის შედეგადაც კულტურის სამინისტროს ასიგნებებში შრომის ანაზღაურების თანხა გაზრდილია 49,9 მლნ ლარით, ხოლო სუბსიდიები შემცირებულია 53,1 მლნ ლარით.

გარდა ამისა, ევროკავშირისა და გერმანიის საერთაშორისო სააგენტოს (GIZ) ექსპერტებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე და შესაძლებელია პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენამდე განხორციელდეს რამდენიმე სამინისტროს პროგრამების ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების დახვეწა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სრულყოფილი პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია და ამისათვის კიდევ რამდენიმე წელი აქტიური მუშაობა იქნება საჭირო.

წინა წლებისგან განსხვავებით, პროექტის საბოლოო ვარიანტთან ერთად წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ, რაც მოიცავს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ სცენარებს და მათ გავლენას ბიუჯეტის პარამეტრებზე.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტის არის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტი და მის გადამუშავებაზე ოქტომბრის განმავლობაში აქტიური მუშაობა გაგრძელდება როგორც სამინისტროებთან, ასევე პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან ერთად და საბოლოო პროექტში, არსებული მაკროეკონომიკური პარამეტრების ფარგლებში მაქსიმალურად დაფინანსდება ის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლის პროგნოზები. მიმდინარე წელს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით ინფორმაცია ვრცლად არის წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართულ მასალებში (2014 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა). მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2015 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 5,0%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 4,0%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5,5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3,5%-4,0%-ის ფარგლებში

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე 2015 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 31,8 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2018 წლისთვის მისი პროგნოზირებულია მისი გაზრდა 41,6 მლრდ ლარამდე.

მაკროეკონომიკური პარამეტრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული შეთანხმების მიხედვით 2015 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი არ უნდა იყოს მშპ-ს 3,0%-ზე მაღალი (GFSM-1986 მიხედვით) და სწორედ აღნიშნული მაჩვენებლის ფარგლებშია წარმოდგენილი 2015 წლის ბიუჯეტი. მომდევნო წლებში დაგეგმილია საბიუჯეტო დეფიციტის კლებადი ტენდენციის შენარჩუნება და მისი მოცულობა 2018 წლისთვის არ გადააჭარბებს მშპ-ს 2,0%-ს.

არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით 2015 წელს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 7 890.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 24,8%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7 930.0 მლნ ლარით განისაზღვრა.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7 460.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 23.5%-ს შეადგენს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 070.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 6.5 პროცენტს შეადგენს;
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 906.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 2.8 პროცენტია;
- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 534.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 11.1 პროცენტს შეადგენს;
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 808.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 2.5 პროცენტს შეადგენს;
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 117.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.4 პროცენტს შეადგენს;
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 25.0 მლნ ლარით.

2015 წლისთვის **გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 180.0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო გრანტები 85.0 მლნ ლარი, ხოლო საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 95.0 მლნ ლარი;

2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 290.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით 65,0 მლნ ლარით ნაკლებია (შემცირებულია დივიდენდებიდან და ჯარიმებიდან მისაღები სახსრები);

არაფინანსური აქტივების კლების სახით მისაღები თანხების გეგმა განსაზღვრულია 80,0 მლნ ლარის ოდენობით;

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 70,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მთლიანად წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას;

ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 1 320.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები - 680.0 მლნ ლარი;
- მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საბიუჯეტო კრედიტები - 240,0 მლნ ლარი;
- სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა - 400,0 მლნ ლარი;

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით 2015 წელს მისაღები შემოსულობების მთლიანი მაჩვენებელი განსაზღვრულია 9 400.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა შეადგენს 9 350.0 მლნ ლარს, რისი გათვალისწინებითაც გათვალისწინებულია სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის დაგროვება 50.0 მლნ ლარის ოდენობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 9 350.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 8 575.0 მლნ ლარს, გრანტები 95.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები 680.0 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 7 891.0 მლნ ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1 372.4 მლნ ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 912.2 მლნ ლარი;
- პროცენტი - 360.1 მლნ ლარი;
- სუბსიდიები - 204.5 მლნ ლარი;
- გრანტები - 1 171.6 მლნ ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 2 653.0 მლნ ლარი;
- სხვა ხარჯები - 1 217.3 მლნ ლარი.

შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები გაზრდილია 53,7 მლნ ლარით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ზრდა არ არის დაკავშირებული რომელიმე უწყებაში ხელფასების მატებასთან. როგორც ზემოთაცაა აღნიშნული, ბიუჯეტის გამჭვირვალობის ზრდის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაწილის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება, ნაცვლად სუბსიდიის მუხლისა გათვალისწინებულია ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში, რის გამოც მხოლოდ კულტურის სამინისტროში შრომის ანაზღაურების ფონდი გაზრდილია 49,9 მლნ ლარით.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებულია - 765.7 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილია - 284.1 მლნ ლარი;

ვალდებულებების კლება შეადგენს 409.2 მლნ ლარს, საიდანაც 346.0 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 63.2 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 92,0 მლნ ლარით და შეადგენს 2 750,0 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 29,4%). აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
 - სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის - 2 010,0 ათასი ლარი;

- *ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის - 652,6 მლნ ლარი;*
- *სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის - 35,0 მლნ ლარი;*

2015-2016 წლებში დაგეგმილი რეფორმების ფარგლებში განხორციელდება არსებული სოციალური გასაცემლების დახვეწა, მიზნობრივ ჯგუფებზე მეტი შედეგების მისაღწევად. გაგრძელდება საპენსიო და სხვა სოციალური გასაცემლების მოცულობების ეტაპობრივი ზრდა. 2015 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით საქართველოს მთავრობას უფლება აქვს ასაკით პენსიონერთა სხვადასხვა კატეგორიებისთვის დაადგინოს არსებულზე უფრო მაღალი საპენსიო/სოციალური გასაცემლები;

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 955,0 მლნ ლარი (გაზრდილია 80,0 მლნ ლარით), რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია:
 - *საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის - 588,3 მლნ ლარი;*
 - *რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის - 216,9 მლნ ლარი;*
 - *წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - 140,6 მლნ ლარი;*
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 828,9 მლნ ლარი (გაზრდილია 74,6 მლნ ლარით), მათ შორის:
 - *ზოგადი განათლების დასაფინანსებლად - 479,8 მლნ ლარი;*
 - *პროფესიული განათლების დასაფინანსებლად - 36,0 მლნ ლარი;*
 - *უმადლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად - 155,0 მლნ ლარი;*
 - *საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 110,0 მლნ ლარზე მეტი;*

ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი რეფორმების ფარგლებში 2015-2016 წლებში ეტაპობრივად განხორციელდება საჯარო სკოლების მასწავლებელთა ხელფასების ზრდა;

- თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 625,0 მლნ ლარი (სსიპ - სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ - დელტას და მისი კონტროლს ქვეშ მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება გადატანილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ხოლო ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი წარმოდგენილია დამოუკიდებელ მხარჯავ დაწესებულებად);
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 600,0 მლნ ლარი;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 291,0 მლნ ლარი, რაც მიმდინარე წლის გეგმაზე 27,5 მლნ ლარით მეტია. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
 - *სამელიორაცია და საირიგაციო სისტემების განვითარებისათვის - 100,0 მლნ ლარამდე;*
 - *შელავათიანი აგროკრედიტებისათვის - 36,0 მლნ ლარი;*
 - *მცირემძიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისათვის - 50,0 მლნ ლარი;*
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 155,0 მლნ ლარი;
- ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილია 135,0 მლნ ლარი (*მშ. გაზიფიცირება 20,0 მლნ ლარი*);
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილია 120,0 მლნ ლარი, (*მშ. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 20,0 მლნ ლარი*);

- საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 100,0 მლნ ლარი;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 85,0 მლნ ლარი;
- იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილია 65,0 მლნ ლარი;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის გამოყოფილია 60,0 მლნ ლარი;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილია 55,0 მლნ ლარი, რაც 2014 წლის ბიუჯეტის მოცულობის ანალოგიურია, თუმცა აღსანიშნავია, რომ პროექტის საბოლოო ვარიანტში აუცილებელი იქნება სამინისტროსთვის დამატებითი ასიგნებების გამოყოფა;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 35,0 მლნ ლარი;
- სხვა მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობები, უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებულია მიმდინარე წლის დონეზე;
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის ჯამში გათვალისწინებულია 300,0 მლნ ლარი;
- მიმდინარე წელთან შედარებით გაზრდილია მთავრობის სარეზერვო ფონდი და შეადგენს 70,0 მლნ ლარს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა გაზრდილია 54,1 მლნ ლარით და შეადგენს 850,0 მლნ ლარს. აღსანიშნავია რომ ამ ეტაპზე კიდევ მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების სტატისტიკური მონაცემების დაზუსტება, რის შემდგომაც გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობები შესაძლებელია დაკორექტირდეს.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

–

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

–

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

–

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

–

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

–

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მათი განსაზღვრის წესს.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

წარმოდგენილი კანონპროექტის ძირითადი პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფონდთან კონსულტაციები გაგრძელდება ოქტომბერშიც და საბოლოო პროექტი წარმოდგენილი იქნება მათთან შეთანხმებული პარამეტრების ფარგლებში

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.